საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030185209400718

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9307-ს **09 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის
მოადგილეს ქალბატონ მაია ბართაიას

ქალბატონო მაია,

თქვენი 2018 წლის 5 ოქტომბრის №01/39944 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, ქ. თბილისში მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაზარალებული სომხეთის რესპუბლიკის სამი მოქალაქისათვის (ა. გინოსიანი, გ. ვარდანიანი და ა. მამიანი) გაწეული სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხს, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სამედიცინო ბრიგადების მიერ განხორციელდა პაციენტების სასწრაფო სამედიცინო დახმარება პრეჰოსპიტალურ ეტაპზე, პაციენტების შეფასებისა და გადაუდებელი მდგომარეობების მართვის მიზნით.

რაც შეეხება ჰოსპიტალურ მომსახურებას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ჰოსპიტალური მომსახურების ანაზღაურება გათვალისწინებული არ არის, გარდა „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირებისა, ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისა, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირებისა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისა და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებისა.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, მხარეთა შორის მოქმედებს „სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1993 წლის 19 მაისის შეთანხმება და 2017 წლის 23 თებერვლის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სომხეთის ჯანმრთელობის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წელს გაფორმებული უწყებათაშორისი შეთანხმება, რომელიც ინიცირებულ იქნა სომხეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლის 8 თებერვლის № 02/0070 ნოტით, სრულად ასახავს ჯანდაცვის სფეროში მხარეთა შორის თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს, მხარეთა მიერ გამოხატული ნებისა და საერთო ინტერესის გათვალისწინებით. აღნიშნული შეთანხმების მე-13 პუნქტის თანახმად, მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას ითანამშრომლონ „მეორე მხარის მოქალაქეებისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების გაწევა სასწრაფო და გადაუდებელ შემთხვევებში, მათ შორის მეანობის სფეროში, მხარეთა სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში, მიმღები სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული კანონმდებლობის შესაბამისად“.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მხარეთა შორის თანამშრომლობა დარეგულირდეს ერთი საერთაშორისო შეთანხმებით. შესაბამისად, მზადყოფნას გამოვთქვამთ, მხარეთა შორის გაიმართოს კონსულტაციები „სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1993 წლის 19 მაისის შეთანხმების გაუქმებისა და 2017 წლის 23 თებერვლის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სომხეთის ჯანმრთელობის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განახლების მიზნით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია